პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 153 (13845)

კვირა, 2 ივლისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

თვითთეული ადამიანის შრომითი წვლილი საზოგადოების განვითარებასა და აყვავებაში, საზოგადოების მუდმივი ზრუნვა თვითეული მშრომელისათვის საბჭოთა ცხოვრების წესის ერთ-ერთი თავისებურებაა. ახლა მთელ ქვეყანაში გაიშალა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, რაც გამოხატავს მშრომელთა მაღალ პოლიტიკურ შეგნებას, მათს ენთუზიაზმსა და ინიციატივას.

სპკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

მთავროობის მაღალი ჯილდო გვავალებს

ლენინის ორდენი ქოლმეურნეობათა დროშებზე

წითელწყაროს, 1 ივლისი. (საქდესი). სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინის ორდენით დაჯილდოვა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა.

დღეს ზემო მაჩხაანში კოლმეურნეობისათვის ლენინის ორდენის გადასაცემად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავ საზეიმო კრებაზე მთელი სოფელი შეიკრიბა. კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ნ. მამაიაშვილმა, რომელმაც სიტყვა მისცა ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

ამხ. მჟავანაძემ გულთბილად მიულოცა კოლმეურნეებს მთავრობის მაღალი ჯილდო. უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება და შემდგომი წარმატებანი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. თავის სიტყვაში ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობის წევრებმა დაიმსახურეს ეს ჯილდო თავდადებული შრომით. ახლი ახლაც არ იშურებენ ძალღონეს, რათა აწარმოონ რაც შეიძლება მეტი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტები, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელოვან იუბილეს შეხვდნენ ახალი მიღწევებით.

განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მოიპოვა კოლმეურნეობამ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობაში. წლითიწლობით იზრდება მარცვლის მოსავლიანობა, წველადობა, ხორცის, კვერცხის წარმოება. განმტკიცდა კოლმეურნეობის ეკონომიკა, გაიზარდა მისი განუყოფელი ფონდი. ფულადმა შემოსავალმა 1966 წელს მიაღწია სამ მილიონ მანეთს, თოთქმის მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე 1963 წელს.

დიდი შემოსავალი იმის საშუალებას იძლევა, რომ განუწყვეტლივ გაუმჯობესდეს კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. სოფელი ქალაქის ტიპის დაბად გადაიქცა. ამ ბოლო ხანს აქ აშენდა კულტურის სახლი, სკოლების, მაღაზიების შენობები, აბანო, გაყვანილია წყალსადენი და სხვ.

ახლა, გაცხოველებული მინდვრის სამუშაოების დროს, ზემომაჩხაანელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ კიდევ უფრო ამრავლონ მეურნეობის შრომითი დიდება.

პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გონაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხ. მჟავანაძემ კოლმეურნეობის დროშას მიაბნია ლენინის ორდენი. ამავე დროს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობას გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ე. ნატროშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მექანიზატორმა თ. იაკობიშვილმა, ახალგაზრდა კოლმეურნემ მ. ბოსტოღანაშვილმა, სოფლის საავადმყოფოს ექიმმა გ. რობიტაშვილმა მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას კოლმეურნეთა შრომის მაღალი შეფასებისათვის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. მამაიაშვილმა ილაპარაკა ვალდებულებებზე, რომლებიც კოლმეურნეობამ იკისრა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, იმაზე, თუ რა აღფრთოვანებით ასრულებენ კოლმეურნეები ამ დავალებებს. სამშობლო წელს კოლმეურნეობისაგან მიიღებს 2.150 ტონა მარცვალს, აქედან ხორბალს — 1.712 ტონას, ნაცვლად გეგმით გთვალისწინებული 1.600 ტონისა. სახელმწიფოს მიეყიდება დიდძალი ხორცი, რძე, კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

კოლმეურნეობის საზეიმო კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ღვინჯილია.

გუდაუთა, 1 ივლისი. (საქდესი). კარგად აქვს საქმე სოფელ დურიფშის კოლმეურნეობას. წარმატებით სრულდება საიუბილეო წლის ვალდებულებანი. ჩაის ფოთლის მკრეფავებმა უკვე მოკრიფეს 900 ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული, 40 ტონით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის იყო მოკრეფილი. ხალხი კარგ გუნებაზეა, დურიფშელებს ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს მთავრობის მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი, რომლითაც კოლმეურნეობა დაჯილდოებულია სოფლის მეურნეობაში მოპოვებული მაღალი მიღწევებისათვის.

როცა შრომითი დღე დამთავრდა, კულტურის სახახლეში შეიკრიბნენ მკრეფავები, ჩაის საკრეფი მანქანების „საქართველოს“ მძღოლები, მექანიზატორები, მეცხოველეები და მემინდვრენი. აქ საზეიმო ვითარებაში გადასცეს კოლმეურნეობა „დურიფშს“ ლენინის ორდენი. ლენინის ორდენის გადასაცემად ჩამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ს. ძოწენიძე.

საზეიმო კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ალავერდიანმა, — რომელმაც სიტყვა მისცა ამხ. ძოწენიძეს.

— ძვირფასო მეგობრებო, — თქვა ამხ. ძოწენიძემ — მოხარული ვარ მოგესალმოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით და მოგილოცოთ მთავრობის მაღალი ჯილდო. მოხარული ვარ, რომ ვასრულებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებას თქვენს კოლმეურნეობას გადავცე ლენინის ორდენი.

ამხ. ძოწენიძე შემდეგ შეეხო საწარმოო წარმატებებს, რომლებიც კოლმეურნეობამ მოიპოვა. ამ ბოლო წლების მანძილზე დურიფშში აშენდა დაახლოებით 300 ახალი სახლი. სოფელში 59 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტია და ისინი ყოფილი კოლმეურნენი არიან. 49 ახალგაზრდა დურიფშელი სწავლობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სახელოვნად შრომობენ დურიფშელები. მათ შორის არის შვიდი სოციალისტური შრომის გმირი, 17 მეჩაიე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 101 კოლმეურნე — საბჭოთა კავშირის სხვა ორდენებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვეკვეძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლენინის ორდენით კოლმეურნეობა „დურიფშის“ დაჯილდოების შესახებ.

წარჩინებულ მეჩაიეთა ჯგუფს სცენაზე შემოაქვს კოლმეურნეობის დროშა. ამხ. ძოწენიძემ დროშას მიაბნია ლენინის ორდენი.

კოლმეურნეებმა ზ. გუმბამ, მ. საკანიამ, დ. ხუპორიამ კოლმეურნეთა სახელით მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ლაკოიამ ილაპარაკა იმ ვალდებულებებზე, რომლებიც კოლმეურნეობამ იკისრა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. აქედან ძირითადი ვალდებულებაა წელს სამშობლოს დავალებით გათვალისწინებული 1.920 ტონის ნაცვლად მისცეს 2 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

დიდი ზეიმი ზემო მაჩხაანსა და დურიფშში

საიუბილეო ვახშზე

ნობათი სამშობლოს

ჩხოროწყუს, თეთრი წყაროსა და ზნაურის რაიონებმა ვადაზე ადრე გაანაღლდეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები

△ **ჩხოროწყუს** რაიონის მშრომელების პირობა იყო, — აცნობა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ჯიჯელავამ, — მეცხოველეობის სულადობის წლიური გეგმა შეესრულებინათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის. ფაქტიურად ვალდებულება 27 ივნისისათვის გადაჭარბებით გაანაღდეს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის წლიური გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 120 პროცენტით, ღორისა — 119,3 პროცენტით, ფრინველისა — 185 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა განაღდებულია 128,8 პროცენტით, რძისა — 101,8 პროცენტით, კვერცხისა — 118,4 პროცენტით, ღორის ტყავისა — 106 პროცენტით.

△ **თეთრი წყაროს** რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ელოშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. ელბაქიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. თეთრუაშვილმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა სიტყვა სქმედ აქციეს. 29 ივნისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.658 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 4.630 ცენტნერისა, 27.870 ცენტნერი რძე ნაცვლად 25.100 ცენტნერისა, 700 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 534 ცენტნერისა, 850 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 490 ათასი ცალისა. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ყველა სახეობა ტყავნედეულის დაზადების ნახევარი წლის გეგმა.

△ **საქართველოს** კპ ზნაურის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. თხელიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჯიოევმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. მარგალიტაძემ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან, 29 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის დავალება. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, რძისა — 102, ხოლო კვერცხისა — 111 პროცენტით.

ეჭვსი თვის დავალება გაღაჭარბებით

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). საიუბილეო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს ზვარეს მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი, რომელიც პირველი აპრილიდან გადასულია დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ სისტემაზე, ხოლო მაისიდან ხუთდღიან სამუშაო კვირაზე.

ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით და ვადამდე შეასრულა საიუბილეო წლის ექვსი თვის დავალება, გეგმის გადამეტებით ჩამოსხმულია 250 ათასი ბოთლი მინერალური წყალი.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის პირველი ნოემბრისათვის შესასრულებლად. განზრახულია მომავალ წელს ქარხნის წარმადობა 3,5 მილიონიდან 8 მილიონ ბოთლამდე გაიზარდოს.

მოიპოვეს საპატიო ორდენი

ბიათურა. (საკ. კორ.). სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას 1966 წელს გამოცხადებული ჰქონდათ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და ახალი ტექნიკის საზოგადოებრივი დათვალიერება.

ბიათურის მარგანეცის მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვის რვა ღონისძიება განხორციელდა. მარტო 1966 წელს ამით 160.000 მანეთი დაიზოგა. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებს 26 თემა განხორციელდა, რაზედაც 312.000 მანეთი დაიხარჯა. ამან გარკვეული ნაყოფი გამოიღო.

შავი მეტალურგიის სამინისტრომ, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ შეაჯამეს საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგები. ბიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივს მიაკუთვნეს მესამე ადგილი, სპეციალური დიპლომი და ფულადი პრემია.

ზრომითი აღმავლობა

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ლენინის ორდენოსან ტრესტ № 1 კოლექტივი შრომითი საჩუქრებით ეგებება საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს. სამრეწველო კომპლექსებს, რომლებსაც ტრესტი აშენებს, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ჩასაბარებლად ამზადებენ ფოლადის კონსტრუქციების ქარხანას, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალშენებლობებს ფოლადის კონსტრუქციებით უზრუნველყოფს.

ამ დღეებში ამონტაჟებენ ახალ მოწყობილობას, რომლის ამუშავებით საშუალება იქმნება მნიშვნელოვნად გადიდდეს მინერალური სასუქების მიწოდება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობისათვის.

ქიმიისა და მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობა ხორციელდება ქსელური დაგეგმვისა და მართვის საფუძველზე, ფართოდ იყენებენ პროგრესული დაბალუღ-არმირებულ კონსტრუქციებს.

სახელოვანი იუბილეს აღნიშვნის წინ სოციალისტურ ქალაქ რუსთავის მშენებლობებზე შრომითი აღმავლობაა. პირველ რიგებში არიან კომუნისტური შრომის იმ ბრიგადების წევრები, რომლებსაც სათავეში უდგანან რ. ბარათაშვილი, შ. მოდებაძე, რ. ადეიშვილი.



ზეროგაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ამ დღეებში თბილისის კამვოლ-სართავი ფაბრიკის საჩეჩი საამქროს მოწინავეები. ისინი გადამეტებით ასრულებენ საიუბილეოდ ნაკისრ ვალდებულებებს. **სურათზე:** მოწინავე მუშა ნ. ცნობილაძე (მარჯვნივ) და ფაბრიკის მთავარი ინჟინრის მოადგილე ო. კუბლაშვილი ამოწმებენ გამოშვებულ პროდუქციას.

ფოტო ა. ჭელიძისა.

ა. ნ. კოსიგინი პარიზში

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიიდან ბრუნდება, დღეს ცოტა ხნით შეჩერდა პარიზში, სადაც იგი შეხვდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შარლ დე გოლს და მეგობრულად ესაუბრა მას.

იმავე დღეს ა. ნ. კოსიგინი მოსკოვს გაემგზავრა.

ნ. ვ. პოდგორნი თბილისში

თბილისი, 30 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს თბილისში გავლით ჩამოვიდა სირიის არაბთა რესპუბლიკაში მიმავალი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

ნ. ვ. პოდგორნის აეროდრომზე დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი და სხვა ოფიციალური პირნი.

ნ. ვ. პოდგორნი თბილისიდან გაემგზავრა

თბილისი, 1 ივლისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი დღეს დილით გაფრინდა სირიის არაბთა რესპუბლიკაში.

თბილისის აეროდრომზე ნ. ვ. პოდგორნი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლელაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ნ. ვ. პოდგორნი დამასკოში

დამასკო, 1 ივლისი. (საკდესი). სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ნურედინ ატასისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით დღეს დამასკოში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

მეგობრობის ვიზიტი

დამასკო, 1 ივლისი. (საკდესი). სირიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სირიის არაბთა რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეგობრულ ვიზიტს, რომელიც დღეს დაიწყო, და მიიჩნია იგი სირიის ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ.

„დღეს, — წერს გაზეთი „ას-საფირ“, — ჩვენი ხალხი გულთბილად ხვდება საბჭოთა სტუმარს. მისი სახით იგი მიესალმება მთელ საბჭოთა ხალხს, გამოხატავს გულწრფელ მადლიერებასა და მეგობრულ გრძნობებს იმ მტკიცე მხარდაჭერისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაუწია არაბულ ქვეყნებს ისრაელის აგრესიის დროს“.

„ახლა, როცა პროგრესული საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ისრაელის აგრესიისადმი, — ხაზს უსვამს გაზეთი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვიზიტი სირიის არაბთა რესპუბლიკაში იმის გამომხატველია, რომ საბჭოთა ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს არაბულ ქვეყნებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“.

ახალი ბროშურა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. ბროშურაში არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1967 წლის 21 ივნისის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების შესახებ“ და თვით თეზისების ტექსტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი კოლმეურნეობათა ფინანსური საქმიანობისა და კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ხელფასის მოწესრიგების საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების მდივნები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოთა უფროსები, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და უწყებათა, ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის, რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენლები, მეცნიერები.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ღვინჯილიამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯუსოევი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე, ბორჯომის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი დ. ბარამიძე, ადიგენის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ვ. ძაძამია, პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. დურგარიანი, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ღვინჯილია, რესპუბლიკის პროკურორი პ. ბერძენიშვილი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ი. ხოხლოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილმოსტნის“ მთავარი სამმართველოს უფროსი დ. შარაშიძე.

განხილული საკითხის გამო თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. კარლოვამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ. (საკდესი).

ცეკავშირის აქტივის კრებაზე

1 ივლისს მთელი მსოფლიოს კოოპერატორებმა ორმოცდამეხუთედ აღნიშნეს კოოპერაციის საერთაშორისო დღე.

კოოპერატორთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ცეკავშირის აქტივის კრება, რომელიც 1 ივლისს გაიმართა სახელმწიფო ვაჭრობისა და საბრძოლველო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლში.

კრება გახსნა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯავახიძემ.

მოხსენება კოოპერაციის საერთაშორისო დღის შესახებ წაიკითხა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ს. ესაძემ.

ფართოდ დება და მტკიცდება ცეკავშირის ურთიერთობა საწარგარეთის კოოპერაციულ ორგანიზაციებთან. ცეკავშირის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის კოოპერატორებთან შეხვედრებში. გაეცვნენ მათი მუშაობის გამოცდილებას და ბევრი სასარგებლო რამ შეიძინეს. მეათე წელია წარმოებს საგარეო სავაჭრო ოპერაციები. ახლა ცეკავშირს სავაჭრო ურთიერთობა აქვს საზღვარგარეთის 20-ზე მეტ ქვეყანასთან.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ფრუიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. თოხაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე დ. მამულაძე. (საკდესი).

სარისხოვანი ჩაის ფოთლის ღამზადების გეგმის შესრულება

1967 წლის 1 ივლისისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში

ტონობით

	მაის-ივნისის გეგმა	წარმატებული შესრულება	შესრულების პროცენტი
აფხაზეთის ასსრ	17180	17989	104,7
გალის	9137	9765	106,9
ოჩამჩირის	5638	5839	103,6
გუდაუთის	1684	1581	93,9
გულრიფშის	570	641	112,5
სოხუმის	151	163	107,9
აბკარის ასსრ	16590	17700	106,7
ქობულეთის	12016	12437	103,5
ბათუმის	4345	5039	116,0
ქედის	229	224	97,8
მაზარაძის	19440	20808	107,0
ზუგდიდის	13150	13260	100,8
წალენჯიხის	6180	6504	105,2
ლანჩხუთის	5450	5800	106,4
ტყიბულის	4770	4943	103,6
ჩხოროწყუს	4310	4588	106,5
ჩოხატაურის	2950	3219	109,1
ტყიბულის საქალაქო საბჭო	2235	2441	109,2
წულუბანის	2244	2941	131,1
წულუკიძის	2194	2387	108,8
ცხაკაიას	2073	2580	123,5
ხობის	1885	2049	108,7
სამტრედიის	648	664	102,5
აბაშის	240	322	134,2
თერჯოლის	194	289	149,0
ბიათურის საქალაქო საბჭო	168	254	151,2
ვანის	76	90	118,4
ზესტაფონის	23	45	195,7
სულ	102000	108853	106,7
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	19018	20187	106,1
1966 წლის 1 ივლისისათვის იყო	97500	126473	129,7

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ლაგოდეხელთა ახალი ვალდებულება

ლაგოდეხი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეაბრეშუმეთა ვალდებულება ითვალისწინებდა საიუბილეო წელს ჩაბარებინათ 185 ტონა აბრეშუმის პარკი. ნაცვლად გეგმით გთვალისწინებული 167 ტონისა. ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით არის შესრულებული. 30 ივნისისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 187,5 ტონა აბრეშუმის პარკი.

აბრეშუმის ჭიის პირველი გამოკვებით წლიური გეგმისა და ვალდებულების შესრულება ლაგოდეხელ მეაბრეშუმეთა დიდი წარმატებაა. ამ საქმეში თავი ისახელა აფენის კოლმეურნეობა „საქართველომ“ (თავმჯდომარე ს. ცოტაძე), რომელმაც ჩაბარა 20 ტონა პარკი ნაცვლად 14 ტონისა. სოფელ ჭაბუკიანის ჭაკჭავაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ჯაჯანიძე) სახელმწიფოს მიჰყიდა 16,2 ტონა აბრეშუმის პარკი ნაცვლად 13,5 ტონისა. ნაკისრი ვალდებულებანი სასახელოდ შესრულეს განჯალა-უზნუნთალას, ბაისუბნის, კახალის, ფონას, სოფელ ორჯონიკიძის, ლელიანის, ცოდნისკარის, ნინგორის კოლმეურნეობებმა.

ლაგოდეხელმა მეაბრეშუმეებმა პირობა დადეს ვალდებულების გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 10 ტონა აბრეშუმის პარკი.

იწონეგს მოსკოვის პარტიული აქტივი

მოსკოვი, 1 ივლისი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

მოხსენება — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1967 წლის) პლენუმის შედეგები და მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

კრების მონაწილეებმა ერთხმულად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მთლიანად და სავსებით მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შედეგები, მისი დადგენილებანი და მიიღეს განუხრელად ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

პარტიულმა აქტივმა აღფრთოვანებით მიიღო წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

თანამედროვე პირობებში, როცა იმპერიალიზმის აგრესიული ძალები მკვეთრად ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას, ნათქვამია წერილში, დედაქალაქის კომუნისტებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ კიდევ უფრო შეკავშირდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

წერილში აღნიშნულია, რომ კომუნისტები, ყველა მოსკოველი დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ და ამ თეზისებს საფუძვლად დაუდებენ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას.

კრებამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია იყო, არის და კვლავაც იქნება მისი სიმტკიცე დასაყრდენი კომუნიზმის მშენებლობის დიდი ლენინური საქმისათვის ბრძოლაში.

(საკდესი).

ჩვენს ოიად — საკავშირო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისი

უნდა ვიმოქმედოთ, შევაკავშიროთ ძალები!

ი. კადარის გამოსვლა უნგრეთის კომკავშირის ყრილობაზე

ბუდაპეშტი, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის VII ყრილობაზე სტუმარ წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა. მან ილაპარაკა სოციალიზმის მსოფლიო სისტემისა და მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ძალების გავლენის გაძლიერებაზე. ეს გავლენა, თქვა მან, საშუალებას არ აძლევს იმპერიალიზმს დაიწყოს მსოფლიო ომი. მაგრამ იმპერიალიზმი აჩაღებს სამხედრო კონფლიქტებს, ომის ერთ-ერთი ახალი კერა ვიეტნამი. ჩვენ ახლა კვლავ ვაცხადებთ, რომ დადგება დღე, როცა ვიეტნამელი ხალხი გაიმარჯვებს. მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმი მსოფლიო მაშინ დაიხვეს უკან, როცა ამას აიძულებს მთელი პროგრესული ძალების საერთაშორისო სოლიდარობა. ჩვენ ამ მიმართულებით ვიმოქმედებთ.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას, იანოშ კადარმა განაცხადა, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია და უნგრეთის მთავრობა სავსებით უპირველ მხარს არაბ ხალხებს, სოლიდარობით ეკიდებიან მათს ბრძოლას. აგრესორი, ხაზგასმით აღნიშნა მან, უნდა დაიგმოს, აგრესიის შედეგები აღმოიფხვრას, ისრაელის ჯარები კი გაუვანილ იქნეს ოკუპირებული ტერიტორიიდან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი პრობლემის სამართლიანად გადაჭრაზე.

შემდეგ იანოშ კადარმა გააშუქა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობა და თქვა, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია იღვწის ერთობის განმტკიცებისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის, ყველა სოციალისტური ქვეყნის თანამშრომლობისათვის, ძალების გაერთიანებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კარლოვი ვარში, განაგრძო იანოშ კადარმა, ჩვენ ვითათბირეთ ბევრ საკითხზე, გავაანალიზეთ ევროპაში შექმნილი ვითარება. ამ კონფერენციაზე ყველა პარტია როდი ჩამოვიდა. მაგრამ ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მან, ვერ დავუწყებთ ლოდინს, როდის შეეძლება თავმოყრა ყველას. უნდა ვიმოქმედოთ, შევაკავშიროთ ჩვენი ძალები. ამას წინათ მოსკოვში მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა აზრი გამოთქვეს ახლო აღმოსავლეთის კრიზისზე. ამ აზრთა გაზიარებამ თავისი წვლილი შეიტანა შეკავშირების საქმეში.

იტალიის მერიდიანზე

ახალგაზრდობა ჩიხში

საინტერესო სტატისტიკა გამოაქვეყნა ამას წინათ იტალიის ინსტიტუტმა „დოქსამ“. ამ მონაცემების თანახმად, იტალიაში ამჟამად 13-დან 19 წლამდე ასაკის 5.695 ათასი ჰაბუკი და ქალიშვილია. მათგან მხოლოდ 55 პროცენტი დადის სკოლებში. 1.623 ათასი ახალგაზრდა მუშაობს და საშუალოდ თვეში სულ 30 ათასი ლირას იღებს. (მუშის ოჯახის საარსებო მინიმუმი 115 ათასი ლირაა). 375 ათასი ჰაბუკი და ქალიშვილი არსად არ სწავლობს და არ მუშაობს.

რომი.

ფილმი გმირი ძმეგის შესახებ

რომი. (ახალი ამბების სააგენტოს საკ. კორ.). ნაცისტების მიერ დახვრეტილი შვიდი კომუნისტი ძმანი ჩერვები სამუდამოდ დარჩებიან ხალხის მეხსიერებაში როგორც წინაადმდეგობის გმირები, რომლებმაც უშიშრად გასწირეს სიცოცხლე ფაშისტური მონობისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. მათ შესახებ დაწერილია წიგნები, გამოთქმულია ლექსები.

ამ ცოტა ხნის წინათ ემილიის „წითელი“ ოლქიდან, სადაც ცხოვრობდნენ და დაიხოცნენ ძმები ჩერვები, დაბრუნდა იტალიელ კინომოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც სწავლობდა „ნატურას“, სადაც გადაღებულ იქნება ლეგენდარული პარტიზანებისადმი მიძღვნილი ფილმი. სურათს დგამს რეჟისორი ჯანი პუჩინი, სცენარს წერენ ცნობილი კინოდრამატურგი ჩეზარე ძავატინი და მწერალი რენატო ნიკოლაი.

— გადაღებისათვის ყველაფერი მზად არის, — ამბობს პუჩინი. — 92 წლის „მამა ჩერვიმ“, რომელიც მოგვიყვა ბევრ მკაფიო ეპიზოდს თავისი შვილების ცხოვრებიდან, მოიწონა ჩვენი ჩანაფიქრი. ფილმის იდეა მოიწონეს აგრეთვე იმ დასახლებული პუნქტების ხელისუფლებმა და მცხოვრებლებმა, სადაც ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ ძმები ჩერვები.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს დროში, რომელიც დაშორებულია უკანასკნელი ომის ქარიშხალს, მაგრამ ახლოა ახალი კონფლიქტის საშიშროებათაგან, რომელსაც შეუძლია მოლად შეატრიალოს ყველა ჩვენგანის ცხოვრება, ძმების ჩერვების, მათი ოჯახის ისტორია ინტერეს წარმოადგენს კეთილი ნების ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად მათი კანის ფერისა და პოლიტიკური მრწამსისა.

გადაღება დაიწყება აგვისტოს შუა რიცხვებში და დამთავრდება 12 კვირის განმავლობაში. რეჟისორმა აღნიშნა, რომ ფილმში იტალიელ მსახიობებს გარდა მონაწილეობას მიიღებენ სხვა ქვეყნების მსახიობებიც. (აას).

მეკობრული თავდასხმის დანერილებითი ცნობები

ვლადივოსტოკი, 1 ივლისი. (საკდესი). ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა, რომლებმაც ვიეტნამის ჰაიფონის ნავსადგურის რაიონში დაბომბეს საბჭოთა გემი, დატოვეს დანაშაულის კვალი. როგორც თბილისავალ „მიხეილ ფრუნზეს“ კაპიტნის ფილიპოვის რადიოგრამა მოწმობს, აღმოჩენილია „დიდძალი საფანტი, ამერიკული წარმოების საფანტიანი ბომბის ნატეხი“.

რადიოგრამაში ნათქვამია, რომ ჰაიფონის ნავსადგურში საბჭოთა წარმომადგენლებს ხელი აქვთ მოწმეთა ჩვენებანი, რომ მეკობრე თვითმფრინავები ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს. ყველა დოკუმენტი და ნივთიერი მტკიცებულება გადაეცემა საბჭოთა მთავრობას. დადგენილია გემ „მიხეილ ფრუნზეზე“ ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავების მეკობრული თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები. აი რას გადმოგვცემს გემის კაპიტანი რადიოთი.

„გემი იდგა № 6 ნავმისადგომთან. საფანტიანი ბომბი დაეცა № 3 კანჭოს მახლობლად მარჯვენა ბორტის საკანჭოე გემბანს. კანჭოები დაცხრილულია. სამანქანო განყოფილების ნაწილი, აგრეთვე კანჭოს კოჯი ნაწილობრივაა დაცხრილული. დაზარალებულნი არ არიან. კაპიტანი ფილიპოვი“.

ამერიკის მხედრობის მორიგი პროვოკაციით აღშფოთებული საბჭოთა მეზღვაურები მოითხოვენ დამნაშავეთა მკაცრ დასჯას.

„მოსკვიჩები“ ახალი ზელანდიისათვის

მიმდინარე წლის დამლევისათვის ახალი ზელანდიის ბაზარზე საბჭოთა ავტომობილები უნდა გამოჩნდეს. ოკლენდის ერთი ფირმა ახლა განიხილავს „მოსკვიჩების“ იმპორტის საკითხს. მანქანებს დაშლილს შემოიტანენ. ადგილზე მათი აწყობა შესაძლებელს გახდის ადგილობრივი მუშახელის გამოყენებას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ზელანდიისათვის, ვინაიდან არსებობს იმის საშიშროება, რომ შემცირდეს მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის იმპორტი, რის შედეგადაც შეიძლება წარმოიშვას უმუშევრობის საფრთხე.

შექმნილ პირობებში ახალი ზელანდიის მუშები მტკიცედ მოითხოვენ სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებას. ამაში ისინი ხედავენ დასაქმებულობის უზრუნველყოფის საიმედო გარანტიას. (აას).

გადაჭრით გმოგვენ

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ჰანოი, 1 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს შეერთებული შტატების ავიაციის მიერ ვიეტნამის ქალაქების ჰაიფონისა და ნამდინის დაბომბვას.

29 ივნისს, ნათქვამია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ამერიკის თვითმფრინავების ორგზის დაესხნენ თავს ქალაქ ჰაიფონს, დაბომბეს საცხოვრებელი უბნები და სამრეწველო ობიექტები როგორც შიგ ქალაქში, ისე მის მიდამოებში, მათ შორის ნავსადგური და დაზიანეს უცხოეთის რამდენიმე გემი.

26, 27 და 28 ივნისს ამერიკის თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაბომბეს და რაკეტები დაუშინეს ქალაქ ნამდინსა და მის გარეუბნებს, ნამდინის საფეიქრო კომბინატს, ბრანჯის საწმენდ ფაბრიკას, საზოგადოებრივ შენობებსა და სკოლებს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მოსთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს დაბომბვა და მთელი სამხარი აქციები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, გაიყვანოს ამერიკის ჯარები და მისი სატელიტების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და პატივი სცეს ვიეტნამელი ხალხის ძირითად ეროვნულ უფლებებს.

გაგედული თავდასხმა

ჰანოი, 1 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლები 24 ივნისს თავს დაესხნენ თბუზაუმოტის პროვინციაში განლაგებულ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზას, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც სააგენტო „განთავისუფლებას“ იმოწმებს. შეტევის შედეგად მოსპეს და დაზიანეს 40 ამერიკული თვითმფრინავი, ბევრი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს და დაჭრეს.

დამთავრდა საერთო დისკუსია

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გენერალური ასამბლეის დღევანდელ დილის სხდომაზე დამთავრდა საერთო დისკუსია ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და დაზიანების ხასს იქით აგრესორის ჯარების დაწვევის საკითხზე.



დისკუსიაში მონაწილეობდნენ 69 სახელმწიფოს წარმომადგენლები. დელეგატების უმრავლესობამ გადაჭრით დაგმო ისრაელის აგრესია, აგრეთვე აგრესორის მთავარი მფარველები — შეერთებული შტატები და ინგლისი. დისკუსიის მონაწილე დელეგაციების დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ და უშენიშვნოდ გაყვანილნენ ისრაელს ჯარები არაბული ქვეყნების ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რომელსაც შეიცავს საბჭოთა რეზოლუციის პროექტი და იუგოსლავიისა და 14 სხვა ქვეყნის რეზოლუციის პროექტი.

თვით დისკუსია გენერალურ ასამბლეაში აგრესორისა და მისი მფარველების მორალური დამბობა იყო და ცხადყო მათი იზოლაცია.

ლიბიის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აქმედ ბიშტიმ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას იმისთვის, რომ მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მოწვევა ისრაელის აგრესიის განსახილველად.

ბიშტიმ მკვეთრად დაგმო ამერიკის რეზოლუციის პროექტი და განაცხადა, ეს პროექტი სავსებით მიუღებელია არაბული სახელმწიფოებისთვისაც. მან მთლიანად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტს.

ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდელ აზიზ ბუტეფლიკამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ინიციატივას, მოეწვიათ საგანგებო სესია, თითქმის ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა, ბუნებრივია, აგრესორებისა და მათი მოკავშირეების გარდა.

სოციალისტური ბანაკი მხარს უჭერს არაბული ქვეყნების სამართლიან საქმეს, თქვა მან, რაც იიხსნება იმით, რომ სოციალისტური სახელმწიფოები ერთგულად იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, მეგობრულად ეკიდებიან და მტკიცედ აქვთ დაგმობა იყო და ცხადყო მათი იზოლაცია.

სხდომის დასასრულს იუგოსლავიის წარმომადგენელმა შეიტანა თექვსმეტი ქვეყნის (რეზოლუციის წინა პროექტის თანაავტორებს კეთია შეემატა) გადასინჯულ რეზოლუციის პროექტი. გადასინჯულ პროექტში დარჩა ძველი პუნქტები, მათ შორის უმნიშვნელოვანესი პუნქტი, რომ ისრაელის მთელი ჯარები დაუყოვნებლივ დასწიონ პოზიციებზე, რომლებიც 5 ივნისამდე ეკავათ.

პროექტში შეტანილია ორი ახალი პუნქტი. ერთი შეიცავს თხოვნას გენერალური მდივნისადმი შესაბამის დროს დანიშნოს პირადი წარმომადგენელი, რომელსაც კონტაქტი ექნება დაინტერესებულ ქვეყნებთან ამ რაიონის პრობლემების გამო. მეორე პუნქტი შეიცავს თხოვნას უშიშროების საბჭოსადმი „ისრაელს შეიარაღებული ძალების გაყვანის დამთავრებისთანავე“ სასწრაფოდ განიხილოს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების ყველა ასპექტი, რათა გამონახოს იურიდიული, პოლიტიკური და ჰუმანური პრობლემების გადაჭრის მშვიდობიანი გზები“.

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ლ. ველიჩანსკი, ს. ლოსევი, დ. შიმკინი იუწყებიან: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შეუდგა რეზოლუციათა პროექტების განხილვას. გუშინდელი დღის სხდომის დასაწყისში ტრინიდადისა და ტობაგოს წარმომადგენელმა ლათინური ამერიკის 18 ქვეყნის სახელით შეიტანა კიდევ ერთი რეზოლუციის პროექტი, რომელშიც, ისე როგორც ამერიკის პროექტში, ისრაელის ჯარების გაყვანა სამი არაბული სახელმწიფოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან არსებითად განპირობებულია სხვა საკითხების გადაჭრით.

ტრინიდადისა და ტობაგოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს „კომპრომისული“ პროექტი მიზნად ისახავს შეარიგოს ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისები. მაგრამ ამ პროექტის ნამდვილი მიზანი ის არის, რომ გადაიბირონ ხაწილი დელეგაციებისა, რომლებიც აპირებენ მხარი დაუჭირონ იუგოსლავიისა და 15 სხვა მიუხრობელი ქვეყნის პროექტს.

გუშინდელ სხდომაზე ერთადერთი ორატორი რეზოლუციათა პროექტების გამო იყო ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ებანი. მან გაიელაშქრა „თექვსმეტის პროექტის“ წინააღმდეგ, რომელიც, მისი სიტყვით, იმავე მიზანს ისახავს, რასაც საბჭოთა რეზოლუციის პროექტი.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ პეკეკამა გამოაცხადა, რომ დელეგაციათა უმრავლესობასთან კონსულტაციების შედეგად მიღწეულია თანხმობა, რომ კენჭისყრა რეზოლუციათა პროექტების პრიორიტეტის საკითხზე და თვით პროექტების გამო მოეწყოს 3 ივლისის დილის სხდომაზე. დელეგაციებს შეუძლიათ შეიტანონ შესწორებები რეზოლუციათა პროექტებში 2 ივლისის 11 საათამდე.

საფრანგეთმა აღქირს გაღასცა თავისი ბაზები საჰარაში

პარიზი, 1 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება: გუშინ საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ დაამთავრეს თავიანთი ბაზების გადაცემა ალჟირისათვის საჰარის უდაბნოში. ეს ოფიციალურად გამოაცხადეს პარიზში. კოლომ-ბეშარის ბაზის უოფლმა სარდალმა დივიზიის გენერალმა ივ ოტერმა ალჟირის მესამე სამხედრო ოლქის სარდალს სალაჰ ლიაპიიუს გადასცა აქტი საფრანგეთის მთელი პერსონალის ევაკუაციის შესახებ ამ ბაზიდან, რომელიც 1947 წლიდან საფრანგეთის რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის გამოსაცდელი სამხედრო ცენტრის განკარგულებაში იყო.

საფრანგეთმა ალჟირს საჰარის ბაზები გადასცა თანახმად ევიანის შეთანხმებებისა, რომელთა მიხედვით ალჟირის სახელმწიფომ მიაღწია იმას, რომ ცნეს მისი დამოუკიდებლობის უფლება. ევიანის შეთანხმებანი ითვალისწინებდნენ საფრანგეთის საჰარის სამხედრო ბაზების ევაკუაციას 1967 წლის 1 ივლისამდე.

კოლომ-ბეშარის ბაზის ლიკვიდაცია მოხდა მას შემდეგ, რაც განხორციელდა დემონტაჟი საფრანგეთის სხვა ბაზებისა, რომლებიც ჰამაგირსა და რეგანში იყო. კოლომ-ბეშარ-ჰამაგირის კომპლექსის სატარტო მოედნები ფრანგმა სპეციალისტებმა გამოიყენეს რაკეტების მრავალი ექსპერიმენტული გაშვებისათვის. აქედან გაუშვეს აგრეთვე საფრანგეთის დედამიწის ოთხი ხელოვნური თანამგზავრი.

ამიერიდან საფრანგეთის რაკეტულ ტექნიკას გამოცდიან ლანდის რაკეტოდროზე, საფრანგეთის ტერიტორიაზე. რაც შეეხება თანამგზავრთა მომავალ გაშვებას, ამ მიზნით განზრახულია გამოიყენონ კურუს (საფრანგეთის გვიანა) ახალი ბაზა.

ალჟირის ტერიტორიაზე საფრანგეთის განკარგულებაში ჯერჯერობით რჩება მერსი-ელ-კებირის ბაზა, სადაც, ამ ორი ქვეყნის შეთანხმების შესაბამისად, საფრანგეთის სამხედრო მოსამსახურეები დარჩებიან კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში.

მუვიდოგისმოუვარე ხალხთა ფორუმი

კაირო, 1 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება:

დღეს აქ არაბთა სოციალისტური კავშირის შეობაში მუშაობას იწყებს აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის საგანგებო კონფერენცია ისრაელის აგრესიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ არაბული ქვეყნების ბრძოლის მხარდასაჭერად. კონფერენციის მიზანია დარაზმოს მშვიდობისმოყვარე ძალები ისრაელის აგრესიის შედეგების აღმოფხვრისათვის საბრძოლველად, არაბული ქვეყნების ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ამასთან დაკავშირებით კაიროს პრესფართოდ ბეჭდავს ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინის მიმართვას ამ კონფერენციის მონაწილეებისადმი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოსული დელეგაციების მეთაურთა თათბირმა დაამტკიცა კონფერენციის დღის წესრიგი, რომელიც შეიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ისრაელის აგრესიის დაგმობა და მისი შედეგების აღმოფხვრის ღონისძიებანი, არაბულ ქვეყნებზე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლა, პალესტინელი ხალხის უფლებათა მხარდაჭერა, ადენისა და არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთის ხალხთა ბრძოლა ნეოკოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

პოსტები გაინაწილეს

ლონდონი, 30 ივნისი. (საკდესი). როგორც რეუტერის სააგენტოს კორესპონდენტი გვატყობინებს, დღეს საიგონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტის პოსტზე, რომლის არჩევნები 3 სექტემბერს უნდა გაიმართოს, კვლავ დაასახელენენ ახლანდელი პრეზიდენტის გენერალ ნგუენ ვან თხიეუს კანდიდატურას, ხოლო პრემიერი კი კენჭს იყრის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. ეს გადაწყვეტილება, გვატყობინებს კორესპონდენტი, მიიღეს შეიარაღებული ძალების სამეფოს დღეგანელი სხდომის შემდეგ.

გადაწყვეტილება გაუნაწილონ პოსტები ორ მეტოქეს, მოწოდებულია ბოლო მოუღოს განხეთქილებას საიგონელ მარიონეტთა ბანაკში.

ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა ვიეტნამისა

კომანდით

პეკინში მეორე დღეა ხუნვეიბინელებსა და ძაოფანებს ალყა აქვს შემორტყმული ბირმის საელჩოსათვის. პეკინში ბირმის საელჩოს წინ მასობრივი დემონსტრაციები იმიტომ დაიწყო, რომ რანგუნში, როგორც ცნობილია, მოხდა მოსახლეობის სტიქიური გამოსვლები, რომელიც აღშფოთებული იყო იქაური ჩინელების გამომწვევი ქცევით. ეს ჩინელი მოქალაქენი არა თუ მოძღვდუნურ პროპაგანდას ეწეოდნენ ბირმაში, არამედ სცემდნენ კიდევაც ბირმელ მოქალაქეებს.

ხუნვეიბინელებმა და შფოთისთავმა ძაოფანებმა ფანჯრები ჩაამსხვრიეს ბირმის პეკინის საელჩოში, შენობის ფასადი კი შავი საღებავით გაუთუნეს, ბირმის საწინააღმდეგო ლოზუნგები ფენებად აირის გაკრული საელჩოს მახლობლად მდებარე ჭიშკრებზე, ღობეებსა და ტროტუარებზე, აგრეთვე ბოძებზე და ხეებზე. საელჩოსთან ხუნვეიბინელებმა და ძაოფანებმა დააყენეს რეპროდუქტორები, რომლებშიც გაძაკიენ ანტიბირმულ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ლოზუნგებს.

გუშინ ბირმის საელჩოსთან გამართულ დემონსტრაციაში, როგორც გაზეთები იუწყებიან, მონაწილეობდა 200 ათასზე მეტი კაცი. დემონსტრანტთა კოლონებს, რომლებიც დღეს გუშინდელზე გაცილებით მეტი არიან, სამხედროები მეთაურობენ. (საკდესი).

30 ივნისი.

რადიაქტიური ნამსალები ნიუ-იორკის ქუჩებში

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. (საკდესი). ნიუ-იორკის მცხოვრებლებს სერიოზული საფრთხე ემუქრება, განაცხადა გუშინ პრეს-კონფერენციაზე ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დირექტორმა ჰენსონ ბლაც�. ასეთი ვითარება შეიქმნა იმის შედეგად, რომ ტრანსპორტერების დროს ქალაქის ქუჩებში დაიკარგა 15 რადიაქტიური ნემსი. თითოეული ნემსი შეიცავს 15 მილიგრამ რადიუმს და ამიტომ სერიოზულ საფრთხეს უქმნის იმათ, ვინც მოისურვებს მათ აღებას.

გავშვებს იტაცებენ

კოლომბო, 30 ივნისი. (საკდესი). ცეილონის პოლიცია იუწყება, რომ ამ ყოველ თვეში უკვალოდ ქრება ორასამდე სკოლის ასაკის ბავშვი. მარტო გუშინ კოლომბოში 26 ასეთი შემთხვევა აღირიცხა. ბავშვების მოტაცება, აღიარებს პრესა, ეროვნული პრობლემა ხდება. უკანასკნელ თვეებში გაზეთები აღნიშნავდნენ სამ შემთხვევას, როცა პოლიციამ ცეილონის შორეულ ადგილებში აღმოაჩინა ბავშვთა იძულებითი შრომის ბანაკები, რომლებსაც დანაშაულებრივი იატაკქვეშა ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ. მაგალითად, ასეთი ბანაკები აღმოაჩინეს მანამარაში და ტრინკომალის მახლობლად.

საერთაშორისო თემაზე

ადენის ვულკანი

ადენი კვლავ ბობოქრობს. უკვე რამდენიმე დღეა ინგლისის ამ კოლონიურ სამფლობელოში მიმდინარეობს საყოველთაო გაფიცვა. ინგლისის ჯარებსა და არაბ პატრიოტთა ჯგუფებს შორის ხდება შეიარაღებული შეტაკებანი. ქალაქში — ადენის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბანში კოლონიურმა ხელისუფლებამ შემოიღეს საალყო წესები. 12 ათასიანი კოლონიური გარნიზონის დასახმარებლად გზავნიან ინგლისის საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებს, რომლებიც სპეციალურად გაწვრთნილი არიან სადამსჯელო ოპერაციებისათვის. შეიარაღებულ შეტაკებათა შედეგად არის მსხვერპლი როგორც მოსახლეობაში, ისე ინგლისელ ჯარისკაცთა შორის.



რევოლუციური გამოსვლები ადენში დაიწყო სწორედ იმ მომენტში, როცა ინგლისის პარლამენტი შეუდგა სამხრეთ არაბეთში ინგლისის სამფლობელოთა მომავალი სახელმწიფო მოწყობის კანონპროექტის განხილვას. კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ მომავალი წლის 9 იანვარს ამ ტერიტორიებს მიენიჭებათ „დამოუკიდებლობა“. კოლონიზატორებს იმედი აქვთ, რომ ფორმალურად გადასცემენ ძალაუფლებას მორჩილ შეიხებსა და სულთნებს და ასეთი „დამოუკიდებლობის“ ნიღბით განაგრძობენ ინგლისის ბატონობას არაბეთის სამხრეთში, რაც უკვე თითქმის 130 წელიწადს გრძელდება. ერთ-ერთმა ლეიბორისტმა დეპუტატმა კრისტოფორ მეიჰიუმ საფუძვლიანად უწოდა ინგლისის ამ გეგმას „ნეოკოლონიალიზმის სახელმძღვანელო“.

ლონდონი ითვალისწინებს, რომ ინგლისის ნიშნებს დაუხმარებლად, რომლებიც ახლა მარიონეტ შეიხებს იცავენ, ისინი დიდხანს ვერ შეინარჩუნებენ ძალაუფლებას და ამიტომ არ გამოჰყავს თავისი შეიარაღებული ძალები სამხრეთ არაბეთიდან. როგორც ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრაუნმა განაცხადა, შეიხებისათვის ძალაუფლების გადაცემის შემდეგ პირველ ექვს თვეს სამხრეთ არაბეთის წყლებში იქნება „სამხედრო-საზღვაო ძალების მძლავრი შენაერთი“. მის შემადგენლობაში იქნებიან ფრეგატები, ტრალერები, საესკადრო ნალმოსნები, სადესანტო ავიამზიდი. კუნძულებზე და სამხრეთ არაბეთის ნაპირების მახლობლად განლაგებული იქნება ინგლისის ბომბდამშენთა შენაერთები. ზემოთ ჩამოთვლილი ძალები, აღნიშნა ბრაუნმა, 6 თვის შემდეგაც შეიძლება დარჩნენ სამხრეთ არაბეთის ზონაში „იმდენ ხანს, რამდენსაც ინგლისის მთავრობა მიიჩნევს საჭიროდ“. „ინგლისის მძლავრი მოდარაჯე ძალები დაიცავს ფედერაციას“, — წერს გაზეთი „დეილი მირორი“. ეს ნიშნავს, რომ ინგლისი წინანდებურად აპირებს გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, რათა ჩაახშოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არაბი ხალხისა, რომელსაც არ სურს ცნოს ფედერაციის მარიონეტი მმართველები. ასეთი „დამოუკიდებლობა“, აღნიშნავს გაზეთი „მორნინგ სტარი“, ცვლის მხოლოდ ინგლისის ჯარების ხასიათსა და განლაგებას სამხრეთ არაბეთში, მაგრამ სულაც არ ცვლის არაბეთის კოლონიურ დამოკიდებულებას.

იმისთვის, რომ განამტკიცოს თავისი დასაყრდენი ფეოდალების სახით, ინგლისი შეიხთა არმიას, რომელიც ახლა იქმნება, უგზავნის მფრინავებსა და სამხედრო ინსტრუქტორებს. სამხრეთ არაბეთის მმართველები, წერს ამასთან დაკავშირებით ეურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, ბევრად იქნებიან დამოკიდებული 10 ათასიან არმიაზე, რომელსაც ახლა ინგლისის სამხედრო ინსტრუქტორები ქმნიან. მაგრამ როგორც ბოლო ამბები ცხადყოფენ, არც ისე ადვილია სამხრეთ არაბეთის არმიის გადაქცევა მორჩილ იარაღად. ამ არმიის არაბი ჯარისკაცებისათვის გასაგები და ახლობელია სამხრეთ არაბეთის პატრიოტთა მისწრაფებანი.

20 ივნისს აჯანყდა ამ არმიის ზოგიერთი ნაწილი და პოლიციის რაზმები. მათ ერთდროულად გაილაშქრეს როგორც ინგლისელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, ისევე ფეოდალური ზედაფენის წინააღმდეგაც. ამიტომ შემთხვევითი როდია ის, რომ ინგლისელები აპირებენ 3.000 უცხოელი ჯარისკაცის დაქირავებას.

როგორც გულსხდილად წერს ინგლისის საქმიანი წრეების ორგანო გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“, ყველა ეს სამხედრო ღონისძიება და თვით განზრახვა, რომ სამხრეთ არაბეთს მიანიჭონ ფიქტიური „დამოუკიდებლობა“, ნაკარნახევია აუცილებლობით „დაიცვან ინგლისის ნავთობის ინტერესები“. ინგლის-ამერიკის ნავთობის კომპანიები თითქმის მთლიანად უწევენ კონტროლს ნავთობის მოპოვებას არაბეთის ნახევარკუნძულზე და სპარსეთის უყურის რაიონში. თუ ინგლისი ადენიდან წავიდა, წერს გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“, ძირი გამოეთხრება ნავთობის კომპანიების მიერ მოსაყიდულ შეიხთა ძალაუფლებას და ინგლისი დაკარგავს „ჟათამს, რომელიც ოქროს კვერცხსა დებს“.

ადენელი ხალხის ახლანდელი გამოსვლები შემადგენელი ნაწილია არაბ ხალხთა საერთო ბრძოლისა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ადენიდან მოლებულ უკანასკნელ ცნობებში ნათქვამია, რომ კრატერის რაიონს კონტროლს უწევენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალები. ეს რაიონი მდებარეობს უძველესი ჩამქრალი ვულკანის ტაფობში. მაგრამ გულსწურომისა და ინგლისელი ოკუპანტებისადმი სიძულვილის ვულკანად გადაიქცა ახლა მთელი ადენი. (საკდესი).

ფოტოობიექტივია ზღვა



ვეშაპებზე მონადირენი ოდითგანვე განთქმული არიან მამაცობით. ჩვენმა საუკუნემ ახალი ტექნიკით გაუადვილა მათ შრომა, უსაშიშრო გახადა ეს მამაცური პროფესია. მაგრამ...

პორტუგალიელი ვეშაპთმონადირენი ახლაც ისევე ეწევიან თავიანთ საშიშ საქმიანობას, როგორც მათი მამა-პაპანი სახელგანთქმული მობი დიკის დროს. ნიჩბიანი ნავები, ხელით სატყორცნი ბარჯები — აი მთელი მათი აღჭურვილობა ზღვის გიგანტებთან საბრძოლველად. მარცხენა სურათზე — ვეშაპებზე ნადირობა ატლანტის ოკეანეში, აზორის კუნძულების რაიონში.

ვონკონგი. ბიზნესი, რა უმნიშვნელოც გინდა იყოს იგი, უწინარეს ყოვლისა კონკურენციას ნიშნავს. თქვენ გგონიათ, თავის განართობად მიცოცავს ეს კაცი გემიდან დაშვებულ ბაგირზე? არა. იგი ბონკონგელი მეწვრილმანეა და მისი მთავარი მიზანია მეტოქეებს აასწროს ნავსადგურში ახლადშემოსულ გემზე.

ფოტო კამერა პრეს-საკდესისა და ი. მურავიოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენს მეგობრებთან

◆ საპატიო ოქროს მედლები — გდრ-ისა და სსრ კავშირის მოქალაქეებს ◆ ფართოვდება თანამშრომლობა ◆ დღესასწაული გემთსაშენებში

გდრ. გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობ

ᲩᲝᲓᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲡᲕᲔᲚᲚᲔᲑᲘ

ᲔᲗᲝᲥᲘᲡ ᲛᲔᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ სახლი. დარბაზში იკრიბებიან ახალგაზრდები, თმაშეღებილნი, პატარებიც. ყველა იკავებს მიჩენილ ადგილს, მაგრამ არ იგრძნობა არც ახალი სპექტაკლის, არც კინოფილმის მოლოდინი, რაღაც სხვა უფრო ძლიერი, უჩვეულო განწყობილება დამკვიდრებულა.

იხსნება ფარდა. სცენის სიღრმეში ყვავილების ზღვა დამდგარა და სავარძელში მსხდომ ორ დარბაისელ ქალს შემოჰყურებენ. ათასი წყვილი თვალის მზერა უმალ სცენის სიღრმისაკენ გაიბერა. ᲔᲚᲔᲝᲜᲐ ᲒᲔᲒᲣᲩᲐᲫᲔ — სამტრედიის რუსული საშუალო სკოლის დირექტორს 60 წელი მხრებზე დასწოლია, 40 წელი ახალგაზრდობას აღზრდისათვის შეულევია, ხოლო მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲡᲮᲘᲠᲣᲐ 50 წლის აღმართს შესდგომია, 30 წელი ბავშვებთან ალერსში, ოცნებასა და შრომაში გაუტარებია.

და აი ახლაც ამ ორ დარბაისელ ქალს, სცენის ამაღლებულ ადგილას რომ სხედან, რამდენი მოსიყვარულე თვალი შესცქერის. პატარებზე ფიქრსა და ზრუნვაში განვლილმა წლებმა შუბლი დაუკეცათ და მზრუნველ ხელებზე ნაოჭები შეეპარათ. მათი ბედნიერი, სხივჩამდგარი თვალები ირგვლივ სიყვარულსა და სათნოებას აფრქვევენ.

იწყება ცხოვრების განვლილი ფურცლები და ცოცხლდება მათი ღვაწლისა და ამაგის ნათელი სურათები.

1924 წელი. ტატიანა გეგუჩაძე, კომკავშირელი გოგონა მშობლიურ სოფელ გორმაღალში პედაგოგიურ მუშაობას იწყებს. იგი ნორჩებს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასა“ და „ბუნების კარს“ ასწავლის. საღამოობით წერა-კითხვის უცოდინარ გლეხებს უკითხავს წიგნებს, მშობლიურ ენაში ამეცადინებს. იგი განახლებული სოფლის ცხოვრებაში გატაცებით ებმება. ამიტომ იყო, რომ მან იმთავითვე თანამემამულეთა პატივისცემა დაიმსახურა.

გადის დრო. ტატიანა მუშაობს ისტორიის მასწავლებლად. მალე საშუალო სკოლის დირექტორად აწინაურებენ და როგორც უნარიანი ხელმძღვანელი სახელს იმკვიდრებს. შრომის სიყვარული, უბრალოება — აი რას უნერგავს იგი თავის მოსწავლეებს და თაობიდან თაობას გადასცემს.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ! ეს საპატიო სახელი იმთავითვე ხიბლავდა და იტაცებდა ქეთევან სტურუას.

მასწავლებელი! მისი მომავალი ცხოვრების იდეალი გახდა. ნიჭიერი გოგონა გულმოდგინედ სწავლობდა და პედაგოგიური ინსტიტუტის წარმატებით დასრულების შემდეგ თავის სოფელს — კულაშს ბუნებისმეტყველების მასწავლებლად დაუბრუნდა.

მრისხანე 41-ში ქეთევანი ვანო სტურუას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორად დაანწინაურეს, და აი აქ, მშობლიურ სკოლაში, ფართოდ გაიშალა მისი პედაგოგიური შემართება, ორგანიზატორული ნიჭი და უნარი. სკოლა მისი დიდი ოჯახი, მისი მთელი ქვეყანა გახდა. 1944 წლიდან იგი მგზნებარე გულით, დიდი პედაგოგიური უნარით ხელმძღვანელობს სამტრედიის მეორე საშუალო სკოლას.

ტატიანასა და ქეთევანს სათუთად აქვთ შენახული მათ მიერ გაწეული შრომის უტყუარი დასტური — ორდენები, მედლები და სიგელები.

წამოშალათ მოგონებები. წარსული წლები, ბავშვებზე ზრუნვით გამთბარი წლები. დედის ბუდიდან აფრენილი ჩიტები. ტატიანა და ქეთევანი თავს დასტრიალებენ და ფრთებს უსწორებენ მათ. ისინი კი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი. იზრდებიან, ტოვებენ სკოლას და ცხოვრების დიდ გზაზე მიდიან. იქ კი, სასწავლებლის კედლებში რჩება მასწავლებლის ლამაზი სული, მოსიყვარულე გული.

მერე და განა ბავშვებმა დაივიწყეს და არ ასახელეს აღმზრდელი სკოლა?! აი ისინი: მშენებელი ხარაჩოებზე ასულა, მოქანდაკე — საქრთველოთ ქვაში სახეს კვეთს, ვინ მეცნიერების სხვადასხვა დარგს დაუფლებია, ფუნჯის ოსტატს გმირის უკვდავება ფერში გაუცოცხლებია, მუსიკოსს საკუთარი გულისთქმა ბგერებში ჩაუქსოვია. ამაგდარნი საამაყო ახალგაზრდობით ხარობენ და ეს არის ნათელი ცხოვრების მიზანი. მათ ანთებული კელაპტარივით წინ მიუძღვით დიდი ილიას სიტყვები — ცოდნა თვითონ, თავისთავად სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არ დაგაკლდება, თუ არ მოგემატება.

ცოდნის ასეთი მთესველები არიან ტ. გეგუჩაძე და ქ. სტურუა.

ეს გაჩახჩახებული დარბაზი თითქოს ვრცელ საკლასო ოთახად გადაქცეულა და ღვაწლმოსილ პედაგოგებს მადლობას აგებებენ მათი აღზრდილები. მიხეილ ნამიჩეიშვილი, რაიონის მოწინავე ექიმი, მისი შვილი ოლეგი, ამჟამად მეცნიერების დიდ გზას რომ დასდგომია, ტატიანა გეგუჩაძის ყოფილი მოსწავლეები არიან. მამა-შვილი გულთბილი სიტყვებით მიმართავენ აღმზრდელ პედაგოგს. მეცნიერი მუშაკები რევაზ სალაყაია და მიხეილ კეკელია საყვარელ პედაგოგს ქეთევან სტურუას გულთბილად მიესალმებიან.

ერთმანეთს ცვლიან აღზრდილები და მოსწავლეები. ყვავილებს ყვავილები შემოაქვთ, სცენა ბავშვებით ივსება. რამდენი თბილი გრძნობა გამოითქვა ამ დღეს! სიტყვას ამბობს პარტიის რაიკომის მდივანი თალიკო მიქაძე, და ყველანი ერთად გულითად მადლობას უძღვნიან ამაგდარ პედაგოგებს. მიხეილ რუხაძემ რუსული და მეორე საშუალო სკოლების დირექტორებს, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებლებს ტატიანა გეგუჩაძესა და ქეთევან სტურუას განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს სპეციალური სიგელები გადასცა.

ამ ღვაწლმოსილთა წინაშე პედაგოგიური მოღვაწეობის კიდევ გრძელი გზაა სავალი. ტატიანა გეგუჩაძე და ქეთევან სტურუა ცისმარე დღეს აღებენ მათი დიდი ოჯახის — საშუალო სკოლების ფართო კარს, აღმზრდელისა და მოამაგის დიდი მოსიყვარულე გულით ეგებებიან მოსწავლეებს, მათს ნორჩ გულში ავლებენ ხნულს, თესავენ ცოდნისა და შრომის ძვირფას მარცვლებს, უნერგავენ მზის, ყვავილების, მიწისა და ქვეყნის სიყვარულს.

ბავშვებზე ზრუნვით ისინი ჯერ არ დაღლილან, რადგან გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვთ, ბევრი დარჩათ სათქმელი.

ცხოვრების გზა კი დიდია, უსაზღვროდ დიდი...

ᲔᲗᲔᲠ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნიდან ტატიანა გეგუჩაძე და ქეთევან სტურუა.

მდინარე ოკის გაყოლებით თვალწარმტაცი ადგილებში გადაშლილია „რუსული ტყის“ — რუსეთის შუა ზოლის ეროვნული პარკის სავარჯუღები.

ეროვნული პარკი მდებარეობს მოსკოვიდან ას კილომეტრზე, 51 ათას ჰექტარ ფართობზე და გაყოფილია სამ ზონად. ტყეპარკის ზონა გათვალისწინებულია მასობრივი დასვენებისათვის.

მესამე ზონაში სამი ათას ჰექტარ ფართობზე თავმოყრილია წიწვიანი ჯიშების ძვირფასი მაღალპროდუქტიული ეტალონები. ამ ზონის სასწავლო ნაკვეთებზე შეიძლება გაეცნოთ სატყეო მეურნეობის წარმოების მოწინავე მეთოდებს.

ფოტო ვ. ᲛᲘᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘᲡᲐ (ახალი ამბების სააგენტო).

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲣᲑᲐᲜᲘᲐ

ᲑᲐᲠᲐᲥᲐᲚᲐ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲝ!

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ რაიონის სკოლების შენებლობაზე წელს დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა შეასრულონ. ახალი სასწავლო წლის წინ საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ 2 დიდი სასკოლო შენობა, მთელ რიგ სკოლებს უნდა მიუშენონ საკლასო ოთახები, კაპიტალურად შეაკეთონ 7 სკოლა და ერთი საბავშვო ბაღი.

კარგი საჩუქარი მოელით სოფელ პატრიკეთის მშრომელებს. აქამდე აქ რვაწლიანი სკოლა იყო, ახალი სასწავლო წლისთვის კი ფართოდ გაიღება საშუალო სკოლის სამსართულიანი ახალი შენობის კარები. რვაწლიანი სკოლის ორსართულიან ტიპურ შენობას მიიღებენ სოფელ ზედა მაღლაკის მშრომელებიც.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ქუთაისის № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის № 1 სამმართველოს (უფროსი კლ. დათიაშვილი) მშენებლებმა უკვე დაამთავრეს ორივე სკოლის შენებლობა. მალე შიდა მოპირკეთების სამუშაოებსაც მორჩებიან და უკვე იელისს პირველი ნახევრისათვის სკოლები ყოველმხრივ მზად იქნება ექსპლოატაციისათვის.

პატრიკეთისა და მაღლაკის სკოლების შენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის თავდადებით იმუშავეს სამუშაოთა მწარმოებლებმა ო. ჩეველეკმა და რ. კირთაძემ.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქ. წყალტუბოს რუსული საშუალო სკოლის, ბროწეულას სკოლა-ინტერნატისა და ოფშკვეთის საშუალო სკოლის კაპიტალური რემონტის სამუშაოები, რასაც კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს სამშენებლო-სარემონტო უბანი (უფროსი კ. დემეტრაძე) აწარმოებს. აღებული ტემპები მოწმობენ, რომ ამ უბნის მშენებლები ვადამდე დაამთავრებენ აგრეთვე ცხუნკურის რვაწლიანი სკოლისათვის ოთხი საკლასო ოთახის მშენებლებს. უკვე ამოყვანილია კედლები და მალე გადახურავს შეუდგებიან. დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს ქ. წყალტუბოს № 1 საბავშვო ბაღისათვის ოთხი ოთახის მიშენების სამუშაოები.

ყველგან გაჩაღებულია სკოლების მიმდინარე რემონტი. რემონტს უკეთებენ ძველს და იძენენ ახალ ინვენტარს. სკოლებმა უკვე მიიღეს კაბინეტ-ლაბორატორიისათვის საჭირო 5 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღები, აგრეთვე 600 მეტრი, 40 კარადა და სხვა ინვენტარი.

აღრიცხულია სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი. ახალ სასწავლო წელს სკოლის კარს შეაღებს 1.300 პირველკლასელი.

Შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.

ᲖᲐᲠᲐᲒᲚᲝᲕᲘᲡ ᲔᲠᲔᲯᲕᲝ

სასკოლო შენობის უქონლობის გამო წლების განმავლობაში ფერხდებოდა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის საშუალო სკოლაში. სკოლისათვის გამოყოფილი შენობები ძველი და შეუფერებელია.

მიმდინარე წელს ერედვში 288 მოსწავლისათვის დაიწყო სამართულიანი ტიპური სასკოლო შენობისა და სასპორტო დარბაზის აგება. მშენებლობა სამხრეთ ოსეთის საოლქო სამშენებლო კანტორის (დირექტორი ზ. თედეევი) დაევალა.

ადგილობრივი ერედველი მცხოვრებლებიდანვე დაკომპლექტდა სააღმშენებლო ბრიგადა (ბრიგადირი ვ. ბერუაშვილი). მოზიდეს ცემენტი, აგური და სხვა საშენი მასალა, და დაიწყო სკოლის მშენებლობა. მოკლე დროში გაიჭრა საძირკველი, ჩაისხა ბეტონი და გაჩაღდა კედლების ამოყვანა.

კალატოზები ვ. ბერუაშვილი, ტ. ტურაშვილი, ცემენტის ამრეველი გიორგი და იასონ ბერუაშვილები, აგურის მიმტანები დ. ვასტანგაშვილი, მ. ბერუაშვილი, ბ. მარიამიძე და სხვები მონდომებით შრომობენ სკოლის მშენებლობაზე და ყოველდღიურ ნორმებს საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ. სამშენებლო მასალის მოსამარაგებლად თავგამოდებით შრომობენ ავტომძღოლები, რომელთა შორის ქების ღირსი არიან ს. რომელაშვილი და ა. ბბაევი.

დღის ბოლოს, ყოველ საღამოს მათ ნამუშევარს ამოწმებს საოლქო სამშენებლო კანტორის ინჟინერი მ. კაპანაძე და მარჯვენას უქნებს გამარჯვ ადამიანებს.

მშენებლებს განზრახული აქვთ მიმდინარე წელს დაამთავრონ სასკოლო შენობის კედლების ამოყვანა, გადახურვა, ხოლო მომავალი წლიდან შეუდგნენ შიდა სამუშაოებს.

ნაკისრი ვალდებულება წარმატებით სრულდება. ყოველდღიურად მაღლდება სკოლის შენობის კედლები, რაც ერედველი მოსწავლეების დიდ სიხარულს იწვევს.

1968 წლის 1 სექტემბრიდან ერედვის საშუალო სკოლის მოსწავლეები ახლადაგებულ ტიპურ სკოლაში ერთ ცვლად იმეცადინებენ. სკოლას ექნება კეთილმოწყობილი კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნო, ბიბლიოთეკა, სასპორტო დარბაზი, ნარგავებით დამშვენებული ეზო.

Ს. ᲪᲝᲪᲮᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატის კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო რაიონის წარჩინებულ ადამიანებს.

სტუმრებს გულთბილად მეესალმნენ უფროსი პიონერხელმძღვანელი ი. წიქარიშვილი და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე დ. კალანდაძე.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს ძველმა ბოლშევიკმა შ. ბუაჩიძემ, პარტიზანმა ბ. ბაგნიძემ, კოლმეურნე ქალმა ლენინის ორდენოსანმა ლ. შერგელაშვილმა, განათლების განყოფილების გამგემ შ. ჩხიკვაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯოგლიძემ და სხვ.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ

ᲮᲣᲚᲝ. (საკ. კორ.). სკოლების საინიციატივო მშენებლობას ხულოელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომაც არის, რომ რაიონში ყოველწლიურად იზრდება სკოლების ქსელი. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა სოფლების ჩაქაძეებისა და ქედლების რვაწლიანი, შურმეულისა და გელაძეების დაწყებითი სკოლების შენობები.

პირველი სექტემბრისათვის დამთავრდება დიაკონიძეებისა და ბაკოს რვაწლიანი სკოლების ახალი შენობები. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე რიყეთის რვაწლიანი სკოლის მშენებლობა, რომელიც სახელმწიფო თანხებით არის დაგეგმილი.

ᲒᲛᲘᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲙᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲓᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ...

აქ, ხუდადოვის ტყის მწვანე ხეივნის ჩრდილში, განისვენებენ ხალხთა ბედნიერებისათვის შეუდრეკელი მებრძოლნი: მიხა ჩოდრიშვილი, დავით ხუბულური, გიორგი ჩოდრიშვილი, გიგო ლელაშვილი, ვანო ჩოდრიშვილი, იაკობ კოჩეტკოვი, გიორგი რთველაძე, მარო ბოჭორიძე, სტეფანე ზაქრაძე, ზაქარია ტეგეტაშვილი, გიორგი რუხაძე, სტეფანე გარიშვილი...

საქვეყნოდ ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის უძველესი რაიონის ყოფილი ნაძალადევის, დღეს ლენინის რაიონის სახელოვანი რევოლუციური წარსული. კანონიერ სიამაყეს და სიხარულს განიცდიან მშრომელები იმ თავდადებული ადამიანებით, ვინც დაუვიწყარ 1917 წელს იერიში მიტანა დრომოჭმულ სამყაროზე, ვინც ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით დიადი ოქტომბრის დროშა აიფრიალა საქართველოში.

და აი გუშინწინ ძმათა სასაფლაოზე მოვედნენ ძველი ბოლშევიკები, რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მოწინავე ადამიანები, ჰაბუკები და ქალიშვილები, მოვიდნენ, რომ კვლავ პატივი სცენ უკვდავ გმირებს.

პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. აბუთიძეს, რომელმაც გახსნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რაიონის მშრომელთა შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან, დაასახელა ისინიც, ვიც სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს დღეს შემოქმედებითი შრომით აგრძელებს.

სიყვარულით გაიხსენეს რკინიგზის უძველესი საწარმო — მთავარი სახელოსნოები, სადაც რევოლუციური წრთობა მიიღეს ი. ბ. სტალინმა. მ. ი. კალინინმა... დიდმა საბჭოთა მწერალმა ა. გორკიმ... აქ აღიზარდნენ, რევოლუციური წრთობა მიიღეს იმ ვაუკაცებმა და სახელოვანმა დედებმაც, რომლებიც ახლა ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ. სიყვარულით ითქვა იმათ შესახებაც, რომლებიც თმაშეღებილნი დღეს აქ მოსულან.

გაქრა, წარსულს ჩაბარდა ძველი ნაძალადევი თავისი მიწური, ნესტიანი ქოხმახებით, ბნელი, ვიწრო ქუჩებით. ახლა ლენინის რაიონი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი და კეთილმოწყობილი რაიონია.

სწორედ ყოფილ ნაძალადევში, იქ, სადაც გაუვალი ხრიოკი ხეობები იყო, ახლა მძლავრი ელმავლების სამეფოლოა. ამ ქარხნის დირექტორმა გ. სამხარაძემ შეხვედრის მონაწილეთ უამბო, თუ რა ვაჟკაცური შემართებით იბრძვის ქარხნის კოლექტივი სადღეისასწაულო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის...

კიროვის ჩარხსამშენებლო ქარხნის ახალგაზრდა ოსტატმა ა. ბარაბიძემ განაცხადა:

— მამების მაგალითს არასოდეს არ დავივიწყებთ! ყოველივე ხაუკეთესოს, რასაც კი ახლა საბჭოთა ადამიანები ქმნიან, მთელ თავიანთ შრომითს წარმატებებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნიან. სახელოვანი შრომის თვითეული დღე გაცისკროვნებულია ოქტომბრის შუქით.. პირადად მე ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ვასრულებ!

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ძველმა ბოლშევიკებმა ფ. ლაბაძემ, ი. ფარცხალაძემ, ლ. აზრუმელაშვილმა, ლითონ-თუჯსამსხმელო ქარხნის მეუალიბემ სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ბოროდავკამ, ამერკაკასიის რკინიგზის სამმართველოს თანამშრომელმა უფროსმა ინჟინერმა ა. ადამაშვილმა, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. ქვლივიძემ, მოსწავლემ ლ. დაუშვილმა, პიონერმა ლ. გრძელიშვილმა საკუთარი ლექსი მიუძღვნა ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულ გმირებს.



ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲜᲔᲜ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ᲙᲐᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ეს იყო დიდი სამამულო ომის წლებში. ლენინის სახელობის შახტის ახალგაზრდა მეშახტე ასკალონ ცნობილაძე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ყოფილმა მეშახტემ გრძელი და სახელოვანი გზა განვლო. მან ფაშისტ მხეცებს კვალდაკვალ მისდია მათს ბუნაგამდე. სამამულო ომის ბოლო თვეები იყო. საბჭოთა არმია მდინარე ოდერს მიადგა. ა. ცნობილაძის მებრძოლები მდინარეზე პირველნი გადავიდნენ და სანაპიროზე გამაგრდნენ. საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის ა. ცნობილაძე მთავრობის ჯილდოზე — წითელი ვარსკვლავის ორდენზე წარადგინეს.

საბჭოთა არმია შესვენების საშუალებას არ აძლევდა მტერს, ელვისებურად უტევდა მათსაკე ტერიტორიაზე. აი დაიწყო გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის ვარელის ალყა. ა. ცნობილაძემ სხვა მამაც მებრძოლებთან ერთად თავი ისახელა ამ ქალაქის აღებაში. ამჯერად მამაცი მებრძოლი კვლავ წითელი ვარსკვლავის ორდენზე წარადგინეს.

გავიდა ხანი, დამთავრდა დიდი სამამულო ომი. ასკალონი შინ დაბრუნდა და კვლავ მშობლიურ შახტს მიაშურა. ამჟამად იგი მეგიგედ მუშობს.

ამ დღეებში მოსკოვიდან გამოგზავნეს წითელი ვარსკვლავის ორი ორდენი. მთავრობის ჯილდოები 22 წლის შემდეგ გადაეცა ა. ცნობილაძეს. ახლა მის მკერდს მთავრობის რვა ჯილდო ამშვენებს. აქედან სამი წითელი ვარსკვლავის ორდენია.

ᲨᲘᲜᲐᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲡᲙᲕᲔᲠᲘ

ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲐ. (საკ. კორ.). სოფელ რუსთავის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები დიდი პატივისცემით ინახავენ სამამულო ომში გმირულად დაცემულთა ხსოვნას. ამ გაზაფხულს რვაწლიანი სკოლის წინ, სოფლის ცენტრში გაამშენეს შინამოუსვლელთა სკვერი, დარგეს ფიჭვები და სხვა დეკორატიული მცენარეები. აქვე მოეწყო პატარა აუზი, რომელშიც მალე შადრევნებად ამოჩუხჩუხდება სკვერში გაშენებული ყვავილების მაცოცხლებელი წყალი.

ჩვენს ყველა-ჯერეში

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

ნაირ-ნაირი

□ **კარგად** მუშაობს ონის კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც ი. მესხი ხელმძღვანელობს. კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ გასვლითი კონცერტები მოაწყო რაიონის სოფლებში.

დ. ხახიაშვილი.

□ **უკანასკნელ** ხანებში ხაშურის რაიონულ რადიოკვანძში მორიგე ტექნიკოსები აღარ არიან, მაგრამ კვანძი ჩვეულებრივად მუშაობს, რეგულარულად აწარმოებს თბილისის გადაცემათა ტრანსლაციას რაიონის 3.800 წვრტიან რადიოქსელში.

კვანძის მართვა წარმოებს მეზობელ შენობაში მოთავსებულ საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის გამაძლიერებელი პუნქტიდან ავტომატურად. (საკ. კორ.).

□ **ასპინძა.** ხიზაბავრის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ფიზიკის მასწავლებლის შ. დათაშვილის ხელმძღვანელობით მოაწყეს სასწავლო ხასიათის ექსკურსია აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

პროფესორმა ე. ხარაძემ მოსწავლეებს წაუკითხა ლექცია კოსმოსური სივრცის კვლევის ახალ მეთოდებსა და ამოცანებზე.

თ. მეკოშვილი.

□ **ქუთაისი.** ლითოფონის ქარხანაში ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით შაბათ-კვირას ეწყობა გასეირნებანი, ექსკურსიები, მუშა-მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი უკვე იყო ექსკურსიაზე ბათუმში. ქარხნის მუშები შეხვდნენ ძველ ბოლშევიკებს.

გ. თარგამაძე.

დიდების მუზეუმი სოფელში

ამ დღეებში სოფელ არანისში გაიხსნა ამ სოფლის გამორჩენილ ადამიანთა დიდების მუზეუმი.

მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები — ფოტოსტენდები და ფოტოსურათები მოგვითხრობენ არანისის შვილების — გამოჩენილი მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქაიხოსროო ზანდუკელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ ზანდუკელის და დიდი სამამულო ომის მონაწილის, საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავის ზაქარია ხიტალიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მუზეუმში ფართოდ არის წარმოდგენილი სოფლის წარსული და თანამედროვე ცხოვრება, კოლმეურნეობა თავდადებული შრომა, ერთ-ერთ სტენდზეა დიდ სამამულო ომში გმირულად დაცემული არანისელი ვაჟკაცების ფოტოსურათები, აქვეა იმათი პორტრეტებიც, რომლებმაც გაუძლეს ომის ქარტეხილს და შინ გამარჯვებული დაბრუნდნენ.

მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა არანისის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის თაოსნობით და სკოლის დირექტორის ა. მერაბიშვილის ხელმძღვანელობით.

ფ. მირზიაშვილი,
დუშეთი.

საველე სასადილოები

ოჩამჩირის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში გახსნილია საველე სასადილოები. მათი მუშაკები მომსახურებას უწევენ მიწდგრის სამუშაოებზე გასულ კოლმეურნეებს. საველე სასადილოებში კოლმეურნეებს შეუძლიათ მიიღონ ცხელი კერძები, ჩაი, უალკოჰოლო სასმელები, საკონდიტრო ნაწარმი.

საველე სასადილოები კარგად მუშაობენ კვიტოფლის, მოქვის, კინდღის, სომხური ათარის, აგუბედიისა და სხვა სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებში.

მ. ჯოჯუა.

„რენესანსი“ ბათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). ნავსადგურში ჩამოდგა თეთრად მოქთქეთე საოკეანო ლაინერი „რენესანსი“, რომელმაც იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, შვეიციიდან ჩამოიყვანა 315 ტურისტი.

ტურისტებმა დათვალიერეს ქ. ბათუმისა და მისი გარეუბნების ღირსშესანიშნაობანი.

თეატრის დაბადება

საიუბილეო საჩუქარი რუსთაველის მკრეველებს

რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრი... დღემდე არავის დაუწერია ასეთი მისაშარი, რადგან სულ ახლახან შეიტანეს იგი ქართული თეატრალური ცხოვრების ცნობარში.

ქართულ თეატრალურ საზოგადოებაში მომწიფებულ აზრს — რუსთაველზე გახსნილიყო პროფესიული თეატრი, ხორცი შეესხა. ეს ფრიად სასიხარულო მოვლენაა არა მარტო რუსთაველი, არამედ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაშიც.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა რ. ჭელიძემ ახლადდაარსებული თეატრის დირექტორსა და მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გიგა ლორთქიფანიძეს სთხოვა, მკითხველებისათვის მოეთხრო თეატრის შემოქმედებითი გეგმების შესახებ:

— სასიხარულოა, რომ ჩვენი ახლადშექმნილი თეატრის კოლექტივი დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში, 4 ნოემბერს წარსდგება პირველად მაყურებლის წინაშე. როგორი იქნება ჩვენი შეხვედრა მაყურებელთან? აი კითხვა, რომელიც თეატრის დასის წინაშე დგას და ვცდილობთ დადებითად გადავჭრათ.

თეატრის რეპერტუარში რამდენიმე პიესაა. ორი მთგანი სპეციალურად ჩვენი კოლექტივისათვის დაიწერა: დრამატურგ რ. თაბუკაშვილის პიესა, რომელიც კუნძულ ტექსელზე ქართველ მებრძოლთა აჯანყების ამბებს ეხება, და მწერალ ოტია იოსელიანის „მოჯადოებული მწვერვალი“. ორივე ნაწარმოები პრობლემურია. მათში დაყენებულმა საკითხებმა არ შეიძლება ბრ აღელვოს მაყურებელი. ადამიანმა ყოველგვარ პირობებში, ყველგან უნდა შეინარჩუნოს საკუთარი მაღალზნეობრივი სახე, დარჩეს სამშობლოს ერთგული, ოლტვოდეს მწვერვალებისაკენ, შრომით იპყრობდეს სიმაღლეს — აი ამ პიესების დედაზრი. ეს პრობლემები აღელვებს ჩვენი თეატრის კოლექტივს. გარდა ამისა, სეზონისათვის ვამზადებთ ფრანგი კლასიკოსის როსტანის ჰეროიკულ ნაწარმოებს „სირანო დე ბერჟერაკი“. მასში ასახულია ფრანგი პოეტის ბერჟერაკის გმირული, ვაჟკაცური ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ამ სპექტაკლის რეპეტიციები მთელი დატვირთვით მიმდინარეობს. მას მხატვრულად გაფორმებს თეატრის მთავარი მხატვარი მ. მალაზონია, კომპოზიტორია ბ. კვერნაძე, პოეტის როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. მეღვინეთუხუცესი.

ჩვენს სარეპერტუარო გეგმაში დიდი ადგილი დაეთმობა ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებებს, თეატრი რაც შეიძლება შეეცდება მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს ცნობილ ქართველ დრამატურგებთან, მწერლებთან.

გარდა ზემოთ დასახელებული ნაწარმოებებისა რეპერტუარში შეტანილი გვაქვს ბ. კაკაბაძის ცნობილი კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“.

ორიოდე სიტყვა თეატრის დასის შემადგენლობის შესახებ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. დასში ძირითადად ახალგაზრდებია, მსახიობთა უმეტესობა თბილისიდანაა. გვყავს ახალგაზრდა რეჟისორებიც—ლილი ოსელიანი, გ. ანთაძე, ნ. გაჩავა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ თეატრის ხელმძღვანელობას ახლო კონტაქტი ექნება ახალგაზრდა რეჟისორებთან. რასაკვირველია, მოვიწვევთ ჩვენი თეატრების წამყვან რეჟისორებსაც.

თავიდან ხელოვნების მუშაკთა სახლში ვატარებდით რეპეტიციებს. ამჟამად კი თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში გვაქვს რეპეტიციები.

მკითხველებს ალბათ ჩვენი თეატრის ადგილსამყოფელი აინტერესებთ. ეს საქმეც მოგვარდა. რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის დირექციამ ჩვენს თეატრს დაუთმო მეტალურგთა სასახლე. ამჟამად მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქცია, რომელსაც ჩვენი თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი მსახიობი ბ. წიფურია ხელმძღვანელობს.

ასეთია ჩვენი ახლადშექმნილი თეატრის დღევანდელი საქმიანობა. დასი მონდომებით ემზადება სეზონისათვის, ცდილობს, იღვწის პირნათლად წარსდგეს მაყურებლის წინაშე.



სულ უფრო სასიამოვნო ხდება ჩრდილი, სუფთა ჰაერი, კამკამა წყალი.

თბილისელების საყვარელი დასასვენებელი ადგილია „თბილისის ზღვა“. ცურვის, ნაოსნობისა და თევზაობის მოყვარულნი განუწყვეტლივ „უტევენ“ ამ ხელოვნური წყალსაცავის ნაპირებს.

სურათზე: თბილისის ზღვა.

ფოტო ი. ბაევისა.

გრიპის ვირუსი და კიბო

გრიპის ვირუსი და კიბო — ამ ორი ცნების მეზობლობა შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს. მაგრამ განა წარმოდგენის უაზრო ნაყოფად არ ჩათვალეს ამ ნახევარი საუკუნის წინათ ბორელის იდეა სიმსივნეთა წარმოქმნაში ვირუსების მონაწილეობის შესახებ?

— მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ გრიპის ვირუსი კიბოს ერთ-ერთი მიზეზი იყოს, — ამბობს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ვიქტორ ჟდანოვი, — მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ვირუსს პოტენციალურად შეუძლია უჯრედის გადაგვარება.

ჩემს კონცეპციას არა მგონია ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი ონკოლოგებმა და, შესაძლებელია, იგი უარყოფილ იქნას, ისევე როგორც ბევრი სხვა. მაგრამ ჰიპოთეზები — აზრის ეს თავისებური ინტერგრატორები — ხელს უწყობენ ფაქტების მიზანსწრაფულ შეგრძნებას და ამიტომ ყველა დროში და ყველა მეცნიერებაში მათ საორგანიზაციო მნიშვნელობა ენიჭებათ.

ფინაალმდებოგბათა ლაბირინთში

ვირუსმბის ის უნარი, რომ კიბო გამოიწვიონ, მრავალი წელია აღარც დავას იწვევს და აღარც გაკვირვებას. ეს დამტკიცებულია მრავალი ქვეყნის მკვლევარების მიერ. ათობით ვირუსი მიიღეს ცხოველთა სიმსივნეებიდან. შესწავლილია მათი თავისებურებანი, ავგებულების უწვრილესი დეტალები. მაგრამ რაც უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მეცნიერები ონკოგენურ ვირუსებს, მით უფრო ხშირია ფაქტები, რომლებიც არ ეტევიან მიღებული თეორიის ჩარჩოებში.

თითქოს და ონკოლოგებს ვერაფრით ვერ გაკვირვებ — კიბოს შემსწავლელი მეცნიერების გაჩენის პირველი დღეებიდანვე ისინი ბეგს მიიკვლევენ წინააღმდეგობათა ლაბირინთში. მაგრამ, როცა უწყინარმა ადენოვირუსმა — უკვალოდ მიმდინარე გრიპისმაგვარი დაავადების მიზეზმა — ექსპერიმენტის დროს ახლადშობილი ზაზუნების უჯრედთა ავთვისებიანი გადაგვარება გამოიწვია, მეცნიერები იძულებული გახდნენ ჩაფიქრებულიყვნენ.

რატომ არის, რომ დღემდე, ტიტანური შრომის მიუხედავად, არ იქნა და დაჭრილი არ არის ვირუსი, რომელიც ონკოგენურია ადამიანისათვის? რა თქმა უნდა, მეცნიერებაათვის დიდი ხანია ნათელია, რომ მიკრასამყაროს ეს წარმომადგენლები სულ სხვანაირად იქცევიან, ვიდრე კარგად შესწავლილი ინფიქციური ვირუსები. მათთვის არ გამოდგება კოხის სრულყოფილი ტრიადა — დაავადების ბუნების განსაზღვრის კრიტერიუმი. იგი გულისხმობს, რომ ვირუსის დანაშაული დამტკიცებულიგ მხოლოდ მაშინ, როცა მას გამოვყოფთ დაავადებული ორგანიზმიდან და გამოიწვევს მეორე, ჯანმრთელი ორგანიზმის დაავადებას მასში შეყვანის შემდეგ.

მეცნიერებმა ვერ შეძლეს შეესრულებინათ ტრიადის ვერც პირველი და, მით უმეტეს, ვერც მეორე მოთხოვნა, მაგრამ მათ დაამტკიცეს, რომ ადამიანის სომსივნურ უჯრედებში სახლდება ვირუსის გენომი — ასე უწოდებენ ნუკლეინის მჟავას მოლეკულას, რომელიც მემკვიდრეობითს თვისებებს შეიცავს. მისი გამოყოფა ძნელია, რადგან იგი თითქოს და შეერწყმის ხოლმე უჯრედის გენომს, ინიღბება უჯრედის ნუკლეინის მჟავას ნიღბით.

უკანასკნელ წლებში მრავალი გასაოცარი ფაქტი მოხდა. არსებობდა ურყევი ჭეშმარიტება — ვირუსები სპეციფიკური არიანო, ე. ი. ცხოველთა მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ასეობებს აზიანებენო. მაგრამ აი საბჭოთა მეცნიერებმა ლეგ ზილბერმა და გიორგი სვეტ-მოლდავსკიმ შეძლეს რაუსის ქათმის სარკომის ვირუსით ფესორი ჟდანოვი, — რომ ვირუსების პარაზიტიზმი განსაკუთრებული გვარისაა.

ვირუსისა და უჯრედის ურთიერთკავშირი — ეს ერის, უწინარეს ყოვლისა, ბრძოლა, ორი გენეტიკური ინფორმაციის ბრძოლა. იგი წარმოებს ერთი და იმავე სქემის მიხედვით: ვირუსი იჭრება უჯრედში, იპყრობს მის რესურსებს, საკვებ ნივთიერებებს და იწყებს თავის მსგავსთა ფორმირებას. მაგრამ ბრძოლის ბოლო ყოველთვის ერთნაირი როდია.

ხშირად ვირუსი ღუპავს უჯრედს. ზოგჯერ კი იქმნება სიმბიოზი — ვირუსი შედარებით მშვიდობიანი თანაარსებობა. მაგრამ ხდება ისეც, რომ უჯრედი უფრო ძლიერი აღმოჩნდება და იმარჯვებს, მაგრამ მას ეს მეტისმეტად ძვირად უჯდება — იგი ჯადაგვარდება ხოლმე.

და აი წარმოიშობა პარადოქსი. თითქოს არა არის რა დაღუპვაზე უფრო საშინელი, მაგრამ როგორც სიმპიოზი, ისე კიბოვანი გადაგვარება უფრო საშიშია, ვიდრე უჯრედის სიკვდილი — ორგანიზმში ხომ იგი მილიარდობით

ბრიპის ვირუსი და კიბო

გაეჩინათ სიმსივნეები ზაზუნებისა და ვირთაგვებისათვის.

ეს თანამედროვე ბიოლოგიის მნიშვნელოვანი აღმოჩენაა. მან გვაიძულა გადაგვეხედა კიბოს ეპიდემიოლოგიისათვის, დასვა მრავალი ახალი კითხვა.

მეცნიერებაში ასე ხდება: ცდები და ცდები, მთელი წლების ცდები. და მოულოდნელად, თითქოს და უკანასკნელმა წვეთმა შეავსო ფიალაო, იბადება ახალი ფაქტები — აზროვნების მუშაობისათვის საჭირო სტიმულები. ჰო და, მრავალი წლის ვამოკვლევანი ახალი სახით წარმოგვიდგებიან ხოლმე.

ასეთ წვეთად იქცა ამ სამი წლის წინათ ბერკეტის ლიმფომის ვირუსული ბუნების აღმოჩენა, აღმოჩენა ავთვისებიანი სიმსივნისა, რომელიც მუსრს ავლებდა აფრიკის ზოგიერთ ხალხს. ონკოლოგიის ისტორიაში პირველად იქნა მიღებული ვირუსი ადამიანის სიმსივნიდან. მეორე ფაქტი. მოხერხდა შუშის პატარა ჭურჭელში თავმოყრილი ადამიანის კანის უჯრედების ვირუსით „დაავადება“ და მათი ავთვისებიანი გადაგვარების ეამოწვევა.

— ახლა ავთვისებიანი ზრდის შესახებ აზრის გამოთქმა იმ მეცნიერთა თავისებურ ტრადიციას წარმოადგენს, რომლებიც სწავლობენ ონკოლოგიისაგან მეტისმეტად შორეულ საკითხებს, — ამბობს ვიქტორ ჟდანოვი. — ამიტომ მეც არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. იგი ემყარება მრავალი წლის დაკვირვებას ვირუსსა და უჯრედის ურთიერთდამოკიდებულებაზე და ევოლუციურ-ბიოლოგიურ გამოკვლევათა დასკვნებს.

გამარჯვება, რომელსაც დაღუპვა მოაქვს

ვირუსები მიკროსამყაროს საკვირველი ბინადარნი არიან. მათ არ შეუძლიათ ცოცხალის, უჯრედის გარეშე არსებობა, მაგრამ აქაც კი ისინი აულ სხვანაირად იქცევიან, ვიდრე მათი თანამომძენი — ბაქტერიები.

— ვირუსები უჯრედშიდა პარაზიტები არიან ეს რამდენიმე წელია არ მასვენებს აზრი, — განაგრძობს პროფესორ ჟდანოვი, — რომ ვირუსების პარაზიტიზმი განსაკუთრებული გვარისაა.

ბაქტერიებს ეს ბედი ერგოთ. ეს ბაქტერიები ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს, ბაღჩეულობას, ბოსტნეულს, ბალახეულობას, ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს, ბალიანებს, ბალიანებს, ბალიან